

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს  
ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის  
თავმჯდომარის ტარიელ ბარამიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 5 სხდომა, განხილულია 6 საკითხი. აქედან საკრებულოს სხდომაზე გატანილია 4 საკითხი და მიღებულია 4 დადგენილება.

კომისიის სხდომების რაოდენობა მეტი იქნებოდა, რომ არა პანდემიის გამო შექმნილი ვითარება.

ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმით ბიუროს სხდომაზე დამტკიცებულია შემდეგი საკითხები:

1. კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება. (იანვარი)
2. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების ანგარიშის მოსმენა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. (თებერვალი, მაისი)
3. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა. (მარტი, აპრილი)
4. 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა (წლის განმავლობაში)
5. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა; (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი).
6. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა; (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი.)
7. ინფორმაციის მოსმენა ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ; (ივლისი, აგვისტო)
8. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა. (ივლისი აგვისტო)
9. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. (სექტემბერი-ოქტომბერი)
10. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. (ნოემბერი-დეკემბერი)

11. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა. (დეკემბერი)

**აქედან განხილულია შემდეგი საკითხები, კერძოდ:**

1. კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება. (იანვარი)

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ა(ი)პ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტი“ -ს დირექტორის ანგარიში 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

4. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

5. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

6. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის

პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ხოლო დანარჩენი საკითხები ექვემდებარება წლის მანძილზე განხილვას.

კომისია შედგება 13 წევრისგან, რომლებიც სისტემატიურად ესწრებიან კომისიის სხდომებს.